

ანგარიში  
2012 წლის საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის პრიორიტეტებია:

- ა) ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა;
- ბ) სამართალშემოქმედებითი საქმიანობა;
- გ) აფხაზეთის სამართლებრივი აქტების ხელმისაწვდომობა;
- დ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან (აფხაზეთიდან) იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სამართლებრივი კონსულტაციების გაწევა და მათი უფლებების დაცვის ხელშეწყობა;
- ე) საარქივო საქმიანობის წარმოება;
- ვ) ადამიანური რესურსების მართვა;
- ზ) საზოგადოებასთან ურთიერთობა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის (შემდგომში - დეპარტამენტი) საქმიანობის პრიორიტეტები გამომდინარეობს და ეფუძნება თანამედროვე სამართლებრივ, პოლიტიკურ და სოციალურ რეალობას. დეპარტამენტი საქართველოს და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მისი მოთხოვნებიდან გამომდინარე, ახორციელებს თავის საქმიანობას და მისი კომპეტენცია, ძირითადი ამოცანები და მოქმედების სფერო განსაზღვრულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2009 წლის 12 ოქტომბრის №25 დადგენილებით დამტკიცებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის დებულებით. დეპარტამენტის საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული ბაზაა:

- საქართველოს კონსტიტუცია
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“
- საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“
- საქართველოს კანონი „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“
- აფხაზეთის კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“
- აფხაზეთის კანონი „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“.

აქვე მოგახსენებთ, რომ „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის/ბინადრობის მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის, „პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გაცემისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 11 ოქტომბრის №133 ბრძანების, „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები – პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილი პირების ფოტოიდენტურობის დადასტურების წესის დამტკიცების თაობაზე“ აფხაზეთის მთავრობის 2011 წლის 24 ოქტომბრის №11 დადგენილების საფუძველზე

დეპარტამენტში შეიქმნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები – პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილი პირების ფოტოიდენტურობის დადასტურების კომისია.

საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უფლებამოსილი ტერიტორიული სამსახურების მომართვის საფუძველზე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში კომისია უზრუნველყოფს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები პირების ფოტოიდენტურობის დადასტურებას.

### **1. სამართალშემოქმედებითი საქმიანობა**

იმის გათვალისწინებით, რომ სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველო (სამართლებრივი ექსპერტიზის განყოფილება და სამართალშემოქმედების განყოფილება) უზრუნველყოფს ერთის მხრივ, აფხაზეთის კანონმდებლობის ნორმატიული ბაზის შიდა შესაბამისობას (ურთიერთთავსებადობას), ხოლო, მეორეს მხრივ აფხაზეთის კანონმდებლობის შესაბამისობას საქართველოს სამართლებრივ აქტებთან, ამ კუთხით სამმართველო მჭიდროდ თანამშრომლობდა როგორც აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებთან, ისე საქართველოს შესაბამის სტრუქტურებთან.

სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს სამართალშემოქმედების განყოფილების მიერ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დაწესებულებებთან კოორდინირებული მუშაობის შედეგად შემუშავებულ იქნა:

- აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობასთან ერთად - „აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობების შექმნის შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის 2007 წლის 17 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტი;

### **რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატთან ერთად**

- რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის ბრძანების პროექტი „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მამიებელი) პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენის და/ან ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები-პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილ პირთა საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიის მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ;“

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტი;

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის №286 ბრძანებულებასა და საქართველოს მთავრობის „სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების

შესახებ“ 2012 წლის 20 თებერვლის №7 დადგენილებასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, დეპარტამენტის მიერ აფხაზეთის მთავრობაში განმეორებით იქნა წარდგენილი „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტი, რომელიც შემუშავებული იყო დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით;

- აფხაზეთის ფინანსთა სამინისტროსთან ერთად - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტი „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2010 წლის 18 მარტის #11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და სხვა აღმასრულებელი დაწესებულებების სამართლებრივი აქტების პროექტები.

- „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს რეგლამენტის ახალი პროექტი“ .

- „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი;

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის #286 ბრძანებულებასა და საქართველოს მთავრობის „სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ 2012 წლის 20 თებერვლის №7 დადგენილებასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, დეპარტამენტის მიერ აფხაზეთის მთავრობაში განსახილველად და დასამტკიცებლად წარდგენილ იქნა „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტი, აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა წინადადებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით.

ამასთან, პროექტის სრულყოფის მიზნით, დეპარტამენტი კოორდინირებულად მუშაობდა საქართველოს საჯარო სამსახურის ბიუროსთან, როგორც საჯარო სამსახურის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებელ და საჯარო სამსახურთან დაკავშირებულ მაკოორდინირებელ ორგანოსთან.

იუსტიციის დეპარტამენტის მიერ საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დაწესებულებებთან კოორდინირებული მუშაობის შედეგად შემუშავებულ იქნა:

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტი „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილი პირების ფოტოიდენტიფიკაციის დადასტურების წესის დამტკიცების თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2011 წლის 24 აგვისტოს #11 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დაწესებულებებთან კოორდინირებული მუშაობის შედეგად მომზადდა:

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის ბრძანების პროექტი „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;

- „რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატში საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;

- „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებში საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;

- „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შემუშავებულ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტები „აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა დებულებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ;

- დეპარტამენტის ინიციატივით შემუშავებულ იქნა „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირების დებულებებში განსახორციელებელ ცვლილებებთან და დამატებათა შეტანის თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის ბრძანების პროექტები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს სამართალშემოქმედების განყოფილების მიერ ზემოთ მითითებულ პერიოდში შემუშავებულ იქნა შემდეგი ნორმატიული აქტების პროექტები:

- „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის პირადობის /ბინადრობის მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი;

- „პირადობის ნეიტრალური მოწმობის და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გაფორმების, გაცემის და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 11 ოქტომბრის №133 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანების პროექტი;

- „პირადობის ნეიტრალური მოწმობის და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გაცემის საკითხის განხილვისას სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით საქმისათვის მნიშვნელოვანი და შესაბამისი დოკუმენტის გაცემისათვის დამაბრკოლებელი გარემოებების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2011 წლის 12 ოქტომბრის №134-№822 ერთობლივ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანების პროექტი;

– „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები პირადობის ნეიტრალური მოწმობის და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილი პირების ფოტოიდენტურობის დადასტურების წესის დამტკიცების თაობაზე“ აფხაზეთის მთავრობის 2011 წლის 24 ოქტომბრის №11 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტი.

## 2. ნორმატიული აქტების სამართლებრივი ექსპერტიზა

სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს სამართლებრივი ექსპერტიზის განყოფილებამ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობიდან და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა დაწესებულებებიდან შემოსული ნორმატიული აქტების პროექტების შესწავლისა და უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სამართლებრივი ექსპერტიზა ჩაუტარა შემდეგ ნორმატიული აქტების პროექტებს:

ა) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების შექმნის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2007 წლის 17 იანვრის #1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტს;

ბ) რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის ბრძანების პროექტს „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მამიებელი) პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენის ან/და ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები - პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილ პირთა საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიის მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ“;

გ) „სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების წესის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2010 წლის 18 თებერვლის #10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტს;

დ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტს „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“;

ე) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტს „რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“;

ვ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტს „აფხაზეთის მთავრობაში რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის

თანამდებობის შემოღების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2008 წლის 4 აპრილის #3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

ზ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტს „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2010 წლის 5 თებერვლის #6 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;

თ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტს „აფხაზეთის მთავრობაში „ზემო აფხაზეთის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის“ თანამდებობის შემოღების, ზემო აფხაზეთის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის 2006 წლის 18 სექტემბრის #35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

ი) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტს „აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 25 იანვრის #2 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;

კ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტს „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2010 წლის 18 მარტის #11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

ლ) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის“ პროექტს;

მ) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტს;

ნ) „განსაკუთრებულ დავალებათა საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ განსაკუთრებულ დავალებათა საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის ბრძანების პროექტს;

ო) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტს „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილი პირების ფოტოიდენტიფიკაციის დადასტურების წესის დამტკიცების თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2011 წლის 24 აგვისტოს #11 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;

პ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის ბრძანების პროექტს „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;

ჟ) რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის ბრძანების პროექტებს:

რ) „რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატში საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;

ს) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებში საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“.

ტ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აფხაზეთის მოზარდ-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის ბრძანების პროექტს;

უ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კინოცენტრ „აფხაზეთის“ დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის ბრძანების პროექტს;

ფ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის ბრძანების პროექტს;

ქ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აფხაზეთის სპორტული მომზადების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის ბრძანების პროექტს;

ღ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აფხაზეთის მოზარდ-მაცურებელთა სახელმწიფო თეატრის „თეთრი ტალღის“ დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის ბრძანების პროექტს;

ყ) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის შექმნის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2005 წლის 22 თებერვლის #11 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტს.

ჩატარებული სამართლებრივი ექსპერტიზისა და შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, უზრუნველყოფილ იქნა გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილი ნორმატიული აქტების შემოწმება გამოქვეყნებაზე უარის თქმის საფუძველების აღმოფხვრის მიზნით და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებ-გვერდზე შემდეგი ნორმატიული აქტების გამოქვეყნება(სრულყოფილი ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი 2):

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 25 იანვრის #1 დადგენილება „აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობების შექმნის შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის 2007 წლის 17 იანვრის #1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;

2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 25 იანვრის #2 დადგენილება „აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის დებულების დამტკიცების შესახებ“;

3. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 25 იანვრის #3 დადგენილება „იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის დებულების დამტკიცების თაობაზე“;

4. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 25 იანვრის #4 დადგენილება „სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის დებულების დამტკიცების თაობაზე“;

5. რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის 2012 წლის 3 თებერვლის #4 ბრძანება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მამიებელი) პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენის ან/და ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტეროტორიაზე მუდმივად მცხოვრები - პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილ პირთა საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიის მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ“;

6. „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი;

7. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 10 თებერვალი #5 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“;

8. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 10 თებერვლის #6 დადგენილება „სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების წესის შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის 2010 წლის 18 თებერვლის #10 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;

9. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 10 თებერვლის #7 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2010 წლის 5 თებერვლის #6 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;

10. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 10 თებერვლის #8 დადგენილება „აფხაზეთის მთავრობაში რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის თანამდებობის შემოღების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2008 წლის 4 აპრილის #3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

11. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 10 თებერვლის #9 დადგენილება „რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“;

12. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 20 თებერვლის #10 დადგენილება „აფხაზეთის მთავრობაში „ზემო აფხაზეთის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის“ თანამდებობის შემოღების, ზემო აფხაზეთის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის



დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის 2006 წლის 18 სექტემბრის #35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

13. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 22 თებერვლის #11 დადგენილება „აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 25 იანვრის #2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

14. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 27 თებერვლის #12 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2010 წლის 18 მარტის #11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

15. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 25 აპრილის #4 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელი ჯგუფის შექმნის თაობაზე“;

16. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის 26 ივნისის #2 კანონი „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“;

17. „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 15 ივნისის რეგლამენტი“;

18. „განსაკუთრებულ დავალებათა საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ განსაკუთრებულ დავალებათა საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის 2012 წლის 28 ივნისის #36 ბრძანება.

19. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 23 აგვისტოს №13 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები პირადობის ნეიტალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილი პირების ფოტოიდენტურობის დადასტურების წესის დამტკიცების თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2011 წლის 24 აგვისტოს №11 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;

20. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის 2012 წლის 27 სექტემბრის №273/მ ბრძანება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“

21. აფხაზეთის 2012 წლის 25 ოქტომბრის #3 კანონი „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.“

22. რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის 2012 წლის 26 ოქტომბრის #22 ბრძანება „რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატში საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ;

23. რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის 2012 წლის 26 ოქტომბრის #23 ბრძანება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებში საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ.

24. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის 2012 წლის 12 ნოემბრის #302/მ ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დებულების დამტკიცების შესახებ“;

25. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის 2012 წლის 12 ნოემბრის #303/მ ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კინოცენტრ „აფხაზეთის“ დებულების დამტკიცების შესახებ“;

26. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის 2012 წლის 12 ნოემბრის #304/მ ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აფხაზეთის მოზარდ-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“;

27. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის 2012 წლის 12 ნოემბრის #305/მ ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აფხაზეთის სპორტული მომზადების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“;

28. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის 2012 წლის 12 ნოემბრის #306/მ ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აფხაზეთის მოზარდ-მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის „თეთრი ტალღის“ დებულების დამტკიცების შესახებ“;

29. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 12 დეკემბრის #14 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის შესახებ“;

30. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 27 დეკემბრის #15 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის შექმნის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2005 წლის 22 თებერვლის #11 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ;

31. „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის 2012 წლის 28 დეკემბრის #4 კანონი.

### **3. საარქივო საქმიანობის წარმოება**

დეპარტამენტის არქივის განყოფილების მიერ საანგარიშო პერიოდში მიმართულების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის არქივის განყოფილების მიერ სახელმწიფო დაცვაზე მიღებულ იქნა:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1993-1999 წწ სამეცნიერო-ტექნიკურად დამუშავებული და 1993-2004 წწ ტექნიკურად დასამუშავებელი საქმეები და დოკუმენტები (სულ 494 საქმე), რომლებსაც უტარდებათ შემფასებელი ექსპერტიზა და ხორციელდება მათი სამეცნიერო-ტექნიკურ წესრიგში მოყვანა;

ფრაქცია „აფხაზეთის“ დოკუმენტები და საქმეები. ფონდის დამუშავების შემდეგ შედგა ერთი ანაწერი მუდმივად შესანახ დოკუმენტზე;

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს 2001-2008 წლები დოკუმენტური ფონდი დაუმუშავებელ მდგომარეობაში. დამუშავების შემდეგ შეირჩა 206 (ორას ექვსი) მუდმივად შესანახი, ხოლო 19 (ცხრამეტი) ხანგრძლივად შესანახი საქმე;

ბ) განახლდა განყოფილებაში დაცული ფონდების სია და საქმეთა ნომენკლატურა;  
გ) ჩატარდა განყოფილებაში დაცული დროებით შესანახი საბუღალტრო დოკუმენტების მიზნობრივი შემფასებელი ექსპერტიზა;

დ) განყოფილებაში დაცულ დოკუმენტებზე შედგენილ იქნა 70 (სამოცდაათი) თემატური საკატალოგე ბარათი: გალის რაიონის, კოდორის (დალის) ხეობის, დევნილთა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ;

ე) ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების გამოყენების დარგში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის არქივის განყოფილების მიერ 2012 წლის განმავლობაში გაიცა 63 (სამოცდასამი) სოციალურ-სამართლებრივი ხასიათის ცნობა, აქედან 42 (ორმოცდაორი) - უარყოფითი პასუხით.

2012 წლის დეკემბრის მდგომარეობით არქივსაცავში სულ ინახება 44 (ორმოცდაოთხი) დაწესებულების დოკუმენტური ფონდი, 1992-2011 წლების 5598 (ხუთი ათას ხუთასოთხმოცდათვრამეტი) საქმე.

დეპარტამენტის არქივის განყოფილებამ ჩაუტარა კონსულტაცია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს საქმისწარმოების სამსახურს „დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესებისა“ და „დაწესებულებების საქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხის“ პრაქტიკაში დასაწერად, დახმარება გაეწია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს საქმისწარმოების სამსახურს საექსპერტო კომისიისა და არქივის დებულების შემუშავებაში.

#### **4. საზოგადოებასთან ურთიერთობა**

დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მიერ საანგარიშო პერიოდში მიმართულების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ა) განყოფილებას თავისი კომპეტენციის ფარგლებში აქვს ურთიერთობა სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან;

ბ) დამუშავდა მამულისათვის თავდადებული გმირების 5 (ხუთი) ფონდი, რომლებშიც შესულია 650 (ექვსას ორმოცდაათი) საქმე;

გ) განყოფილებას გადაეცა 1993 წელს ქ. სოხუმში მინისტრთა საბჭოში ტყვედ აყვანილთა და შემდგომში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სია;

დ) განყოფილებამ შეიმუშავა პროექტი სახელწოდებით „აფხაზეთის ფოტომეხსიერება“, რომელიც გულისხმობს წინა საუკუნის ფოტოების შეგროვებას, აღწერასა და ფოტოარქივის შექმნას;

ე) განყოფილებაში შექმნილი ფონდი „სამშობლოსათვის მარადისობაში“ წლების განმავლობაში ახდენდა თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მეზრძოლთა დოკუმენტაციის შეგროვებას (დღეისათვის თავმოყრილი და შენახულია ასობით საბრძოლო მოკვლევა, ასობით საგმირო საქმე), პერიოდულად ხდებოდა დალუპული მეომრების ოჯახის წევრებთან შეხვედრები, სატელევიზიო გადაცემების მომზადება და სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება.

დეპარტამენტი მუდმივად ახორციელებს საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტის წარმომადგენლებთან ურთიერთობას დეპარტამენტის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე.

#### **5. ადამიანური რესურსების მართვა**

დეპარტამენტის კადრებისა და საქმისწარმოების განყოფილების მიერ საანგარიშო პერიოდში მიმართულების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ა) უზრუნველყოფილ იქნა სტაჟირების გავლის წესის შესაბამისად, სტაჟიორთათვის პროფესიული უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების შესაძენად სტაჟირების ორგანიზება(2012 წლის განმავლობაში დეპარტამენტში სტაჟირება გაიარა 10 სტაჟიორმა);

ბ) დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის ცოდნის გაღრმავებისა და სიახლეების გაცნობის მიზნით პერიოდულად ეწყობა ტრენინგ-სემინარები სხვადასხვა თემაზე.

**6. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან (აფხაზეთიდან) იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სამართლებრივი კონსულტაციების გაწევისა და მათი უფლებების დაცვის ხელშეწყობის მიზნით:**

დეპარტამენტი, როგორც აფხაზეთის მთავრობის დაწესებულება, სისტემატურად ახორციელებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოებთან და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებთან-დევენილებთან სამართლებრივ ურთიერთობას. მითითებულ პერიოდში, აღნიშნულ პირებს კომპეტენციის ფარგლებში დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს თანამშრომლები უწევდნენ იურიდიული ხასიათის საკითხებზე კონსულტაციებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამ პრიორიტეტის რეალიზებისათვის შემუშავებულ იქნა შესაბამისი სოციალური ხასიათის პროგრამები და პროექტები, მათ შორის:

- „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტი;

- „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შედეგად წარმოშობილ დევნილთა პრობლემების აღმოსაფხვრელად შემუშავებულ იქნა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი;

კომპეტენციის ფარგლებში დევნილი მოსახლეობის სამართლებრივი დონის ამაღლებისა და მათი კანონიერი ინტერესებისა დაცვის ხელშეწყობის მიზნით, დეპარტამენტი სისტემატურად ახორციელებდა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების სიახლეების შესწავლას და მათი დეპარტამენტის საიტზე განთავსებას. კერძოდ, სამმართველოს სამართალშემოქმედების განყოფილების მიერ საიტზე განთავსებულ იქნა ისეთი საკითხები, როგორცაა: დევნილთათვის დაწესებული მოთხოვნები და შეღავათები, მოთხოვნები საპენსიო კანონმდებლობის შესახებ, პირადობისა და პასპორტის ასაღებად საჭირო დოკუმენტების ნუსხა, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციისათვის აუცილებელი დოკუმენტების ნუსხა, მოქალაქეობის პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები, ასევე განათლების სფეროსა და ნოტარიატთან დაკავშირებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების სიახლეები.

გარდა აღნიშნულისა, საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დაწესებულებებიდან და მოქალაქეებიდან დეპარტამენტში შემოსულ არაერთ წერილზე მომზადდა სათანადო პასუხი; ხოლო შრომითი სტაჟის აღდგენის საკითხებთან დაკავშირებით, იუსტიციის დეპარტამენტმა შეადგინა შესაბამისი ადმინისტრაციული სარჩელი სასამართლოში წარსადგენად.

**7. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები - პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიმღებ პირებზე**

## ფოტოიდენტურობის დადასტურების მიზნით:

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები - პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილი პირების ფოტოიდენტურობის დადასტურების წესის დამტკიცების თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2011 წლის 24 ოქტომბრის №11 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2011 წლის 26 ოქტომბრის №31 ბრძანების საფუძველზე შექმნილმა „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები - პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილი პირების ფოტოიდენტურობის დადასტურების დამდგენმა კომისიამ“ (შემდგომში – კომისია), მითითებულ პერიოდში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე განახორციელა შემდეგი საქმიანობა:

საფუძვლიანად შეისწავლა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული სამსახურიდან შემოსული მასალები და უფლებამოსილი პირის ფოტოიდენტურობის დადასტურების თაობაზე არსებული და მოპოვებული ინფორმაცია, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სააგენტოს ტერიტორიული სამსახურიდან მიიღო ფოტოიდენტურობის დადასტურებისათვის ყველა საჭირო დოკუმენტი ელექტრონული ფორმით და არსებული მონაცემების და მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება უფლებამოსილი პირის ფოტოიდენტურობის დადასტურების თაობაზე.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის კომისიის მიერ ელექტრონული ფორმით გაცემული დადებითი ინფორმაციის საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ უზრუნველყო პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გაცემა.

P.S.(კომისია მუშაობას წარმართავს „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 11 ოქტომბრის № 133 ბრძანების „პირადობის ნეიტრალური მოწმობის და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გაფორმების, გაცემის და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“ და „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები - პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილი პირების ფოტოიდენტურობის დადასტურების წესის დამტკიცების თაობაზე“ აფხაზეთის მთავრობის 2011 წლის №11 დადგენილების საფუძველზე).

კომისიაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სერვისების განვითარების სააგენტოდან შემოვიდა სულ 168 პირის მასალა ფოტოიდენტურობის დადასტურებასთან დაკავშირებით. აქედან, 2011 წლის ნოემბერ - დეკემბერში 27 პირს დაუდასტურდა ფოტოიდენტურობა, 2012 წლის იანვრიდან - მარტის ჩათვლით – 37 პირს, 2012 წლის მეორე კვარტლის მონაცემების მიხედვით – 69 პირს, ხოლო 2012 წლის ივნისიდან - ოქტომბრამდე 35 პირის ფოტოიდენტურობა დადასტურებული.

**8. აფხაზეთის სამართლებრივი აქტების ხელმისაწვდომობა** - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი კოდიფიცირებული სამართლებრივი აქტების ხელმისაწვდომობა ელექტრონული ფორმით დეპარტამენტის ოფიციალური ვებ-გვერდის მეშვეობით.

დეპარტამენტის ვებ-გვერდზე [www.abkhaziajustice.gov.ge](http://www.abkhaziajustice.gov.ge) განთავსებულია:

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონები;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებები;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა ნორმატიული აქტები.

დეპარტამენტი, როგორც აფხაზეთის მთავრობის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება, სისტემატურად ახორციელებს დევნილ მოსახლეობასთან ურთიერთობას. კომპეტენციის ფარგლებში აღნიშნულ პირებს დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს თანამშრომლები უწევენ იურიდიული ხასიათის საკითხებზე კონსულტაციებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.